




წიგნების

24 ნომერი

1949

21/11

საქართველოს  
საბჭოთა კავშირის  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრის



ს. ს. ს.

მ. სანგალა.

5 მ. სანგალა  
1789 წლის  
1.9

მუშათა მოძრაობა

საფრანგეთში


1789 წლამდე.

(დიდ რევოლუციამდე).


3936

ძალა დამთრგუნველი არის იმავე  
დროს ძალა შემომქმედებითი.

ბაკუნინი.



„თ ე მ ი ს“ გამოცემა.



თბილისი.


1906



მოკლე ისტორია  
ქართულის თეატრისა  
1791—1906

ა. შიშ

აღწერილი და გამოცემული  
ზ. ჭიჭინაძის მიერ.



თფილისი

სტამბა კ. თავართქილაძისა. სვიმონოვის ქუჩა, № 8.

1906

Дозволено цензурою Тифлисъ 17 апрѣля 1906 г.

## ქართული თიატრის მოკლე ისტორია.

1791—1906

განსვენებულს სოფრომ მესხიევს, მეტეხის მღვდელს, თავის ღროის კვალად, მკოდნეს საქართველოს ერის საქმეების და 1850 წლებში ქართული ენის ცენზორადაც ყოფილს და განსვენებლს ტარასი არქიმანდრიტსაც ხშირად უამბნიათ თიატრის შესახებ. ისიც მხოლოდ გაგონილი თავიანთ გვარის კაცთაგან, თელავის სასულიერო სემენარიის რექტორის დავით მესხიევის—ცუკიასაგან, რომელიც მომსწრე ყოფილა იმ დროებისა და მონაწილეობის მიმღებიც თფილისში და თელავში წარმოდგენების გამართვაში.

დავით რექტორი, 1790 წელს, დაესწრო შემთხვევით თფილისს, სადაც მას უნდა წარმოედგინა მთელის კახეთის ეთნოგრაფიული აღწერა. ეს აღწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ ლაპარაკის დროს უნდა წარედგინათ რუსეთისათვის. ამას ითხოვდა მეფე ერეკლეს კარზედ მყოფი რუსეთის იმპერატორის კომისარი, გენერალი ბურნაშევი, რომელიც თფილისში სცხოვრებდა... ასეთი აღწერა ქართველთა რუსეთს 1780 წელსაც წარუდგინეს. მაგრამ ის დარჩა უმნიშვნელოდ, რადგანაც მეფე ერეკლემ რუსეთის მხოლოდ მფარველობა მიიღო და აღიარა და არა ქვეშევრდომობა.

ვიტყვი, რომ ქვეშევრდომობის ცდა კი რუსეთისაგან არ მოსპობილა, იგი გავრძელდა კარგა ხანს, ამაზედ ლაპარაკიც იყო და მიწერ-მოწერა. ეს ამახუცი ალაშქრებულმა ხანამაც შეიტყო და 1794 წ. მეფე ერეკლეს ამაზედ წერილი, ანუ ულტიმატუმიც მოსწერა.

დავით რექტორი ქართველთა ძველის ცხოვრების კარგი შკოდნე იყო, მწიგნობარი, დაუცხრომელი გადამწერი, მასთანვე ხუმარა, კომიკი, მასხარა ფილოსოფი, ამიტომ მას მეტ სახელად ცუკია ფილოსოფი უწოდეს, ესევე მონაწილეობას იღებდა იმ დროის თამაშობაში და თამაშობდა, კარგად. ამისაგან გადაწერილი ძველი პიესების დედნები დღეს წერა-კითხვის სამკითხველოში ინახება. ამისივე გადაწერილებია ალ. ჭავჭავაძის პიესების თარგმანნი, რომელიც ა. ჭავჭავაძეს ფრანგულის ენიდამ ქართულს ენაზედ უთარგმნია.

დღევანდელის, როგორც სჩანს, ქართულს სალიტერატურო ისტორიაში, აგრეთვე სამოქალაქო და სათიატროშიაც, ისე იხსენებენ და ისეც რჩება რომ ვითომც ქართველებმა 1850 წლამდის ქართულის თიატრის საქმეებისა არაფერი ხტოდნენ, არც კომედიები ჰქონდათ დაწერილი და არც-არასხვა ამგვარებო. ზოგს საკვირველადაც აქვს ეს მიღებული და არც კი სჯერად, რასაკვირველია ყოველივე ეს უცოდინარობის ბრალია. სხვა რა ვიციტ ქართველებმა, რომ ესენი ვიცოდეთ.

ჩვენში, ამბობენ: ჩვენ არაფერი გეჭონდაო, მაგრამ როცა გიორგა ერისთავი გამოვიდა ქართული მწერლობის ასპარეზზეო და ქართული თიატრის მართველად დაინიშნაო, მაშინ კი ყურადღება მიაქციეს ამ საქმეს და ვორონცოვის შემწეობით და ზოგიერთ მაშინდელ ქართველ ახალგაზრდებთა დახმარებით, დაიწყეს პიესების წერა და წარმოდგენების გამართვა 1851 წლიდამ, 1854 წლამდისო.

უნდა მოგახსენოთ რომ საქმე ასე არ არის: ქართველ ერში თიატრის შემოდება და ცოდნა ძველიდგანვე იყო; ქართველთა ამის ცოდნა ძველად ბერძენთაგან აქენდათ და შემდეგ რომიდამა, რადგანაც საქარდველოდამ რომში მრავლად მიემგზავრებოდნენ სასწავლებლად ქართველნი, ნამეტურ ქართველთა კათოლიკეთა ძენი სასულიერო სასწავლებლებს გარდა თვით საერო, სამოქალაქო და სავაჭროშიაც, ამიტომ

ამათვე კარგი ცოდნა აქვდათ ევროპის ერის სათიატრო საქმეების და XVIII საუკუნის შესანიშნავის დრამატურგების, მათ ევროპიელთ ნაწერებიც კი უთარგმნიათ ქართულს ენაზედ, მხოლოდ ნაწერთ ვერ მოაღწიეს ჩვენს დრომდე.

პირველად ქართული წარმოდგენა საქართველოში მეფე ერეკლეს დროს გაუმართავთ ჯერეთ მესხიანთ სახლში, შემდეგ ორბელიანთა, მის მერე მელიქიანთა. ესე და ამ გვარი ამბები ხშირად უამბნია მღვდელს იოსებ ამერიძესაც, რომელსაც სპარსნი მეტ სახელად „ქეშიშ დარდი მანდს“ უხმობდნენ. ეს პირი იყო იოანე ორბელიანის მოძღვრად და ამიტომ სარდლიანთ მღვდელსაც უხმობდნენ. ამის შვილი იყო დავით მოურავი-ამერიძე, ძველი მწიგნობარი და მრავალ წიგნებთა გადამწერი, გადამწერი „დილარიანისა“ და ასევე სხვების ყველა ამის წიგნები მის სიკვდილს შემდეგ მისმა შვილებმა შესწირეს „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ საცავს“ ამ პირმაც კარგად იცოდა ხსენებული თიატრალური საქმეების ამბები.

ამაზედვე ხშირად ჰქონია საუბარი აგრეთვე თ. ალექსანდრე ორბელიანსაც, რომელიც ერთ თავის წერილშიაც იხსენიებს რომ მეფე ერეკლეს ჟამს თფილისსა და თელავში ქართული წარმოდგენებიც იმართებოდაო. გარდა ამ ცნობებისა რაც მის წერილშია დაბეჭდილი, მას ჰქონია ერთი სხვა წერილიც რომელიც 1859 წ. მას გამოუგზავნია პიატიგორსკი-დამ „ცისკრის“ რედაქტორისთვის დასაბეჭდათ. ეს წერილი გზაში დაკარგულა და დარჩენილა დაუბეჭდავი. ესეც რომ არ იყოს, ხშირად ჰქონია ხოლმე სჯა 1830 წ. აღ. ორბელიანს, აღ. ჯავჭავაძენ, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ტარასი არქიმანდრიტს, სოფრომ მეტეხის მღვდელს მესხიევსა, რომელიც ისეთი მოყვარე ყოფილა თიატრის საქმეებისა, რომ მღვდელს პიესებიც კი უწერია. სხვათა მრავალთა შორის, მას დაუწერია ერთი ისტორიული ტრაგედია „ყვარყვარე ათაბაგი“ 1843 წ. ეს პირი პაპის ძმა არის ჩვენის ნიჭიერის



მსახიობის ვ. ალექსი-მესხიშვილისა. მაინც ამით გვარის წევრთ  
ძველიდგანვე დარგად მოსდევდათ თიატრალურ საქმეთა ცოდ-  
ნა, პატივის ცემა და თაყვანება. ეს „ყვარყვარე ათაბაგი“  
მღვდელმა სოფრომ მესხიევმა თავ. გიორგი ერისთავს ვარ-  
დასცა და მიანდო მას, რომ თავის ჟურნალს „ცისკარში“  
დაიბეჭდა 1852 წ.—1853 წლის ნომრებში ეს ტრაგედია  
გიორგი ერისთავმა უკვე დაბეჭდა. ეს პიესა დღეს გიორგი  
ერისთავის პიესად არის ცნობილი და ეს არ არის სწორე,  
მღვდელმა თავის დამალვა მიტომ დაავალა, რომ პირველი  
იგი იმ დროის ქართული ენის ცენზორი იყო, მეორე სასუ-  
ლიერო პირი, ერთიცა და მეორეც მას არიდებდა ასეთ  
საგმეს.

1790—93 წლების წინეთა და შემდეგაც, საქართვე-  
ლოში წარმოდგენები ყოფილა ხოლმე, ვისის მეცადინეობით  
და ანუ ვის წარმოუდგენინებია, ეს ზოგი ზებირ სიტყვაობით  
და ზოგიც ძველის წიგნებიდამ და ბარათებიდამაც შეგვიტყვია,  
ზოგი მაშინდელის პიესების ხელთნაწერების დღეს ხელშიაცა  
გვაქვს.

XVIII საუკუნეში, მთელი საქართველო რუსეთს დაუ-  
ახლოვდა და ხშირად მისვლა-მოსვლაც გვქონდა. მეფე ერეკლეს  
ჟამს, საქართველოდამ რამდენიმე ახალ-გაზრდები გაიგზავნენ  
სასწავლებლად, ამათში სხვათა შორის იყვნენ დავით ბატო-  
ნიშვილი, ჩოლოყაშვილი, დავ. ავალიშვილი და რამდენიმე  
სხვანი. ამათშივე ყოფილა სარდალი იოანე ორბელიანი. ესე-  
ნი სწავლობდენ რუსეთში, იქ სწავლის ჟამს, სამშობლო  
მწერლობისთვისაც ზრუნავდენ და სწერდნენ ქართულად და  
სთარგმნიდენ. სხვათა შორის დავით ბატონიშვილმა რუსეთში  
დასწერა ქართული კომედიებიც კი. დავით ავალიშვილმა  
სთარგმნა სხვა და სხვა პიესები და ასევე ჩოლოყაშვილმა.

ესენი სწავლის შემდეგ ჩამოვიდნენ საქართველოში და  
დაიწყეს აქ სამშობლო-ქვეყნის და ხალხისათვის მეცადი-  
ნეობა; ბევრი რამ სურდათ რომ შემოიტანათ აქ განათლების

სახსრად, შკოლების გამართვა, ვაქრობისა, საქართველოში სხვა და სხვა სახელმწიფოებიდამ ელჩების გამოთხოვა, თფილისში სამართველოების გახსნა და იმერეთის შემოერთება, ერთის სიტყვით ბევრს საქმეზედ მოუღალავათ შრომობდენ.

სხვათა შორის, ამათვე მოუწადინებიათ წარმოდგენების გამართვა და პიესების თარგმნა. 1791 წ. დავით ავალოვი შესდგომა კომედიების წერას და თარგმნას და დაუწერია ერთი დრამა „მეფე თეიმურაზი“ და მეორეც რუსულიდამ უთარგმნია „რქის მატარებელი“ რომელიც 1791 წელსვე წარმოუდგენიათ სამჯერ. შემდეგ უთარგმნია კიდევ შემდეგი პიესები: „დედა რაყიფის ქალისა“ სამ მოქმედებიანი კომედია, რომელიც 1792 წ. წარმოუდგენიათ. ამავე დროს უთარგმნია სამ მოქმედებიანი კომედია: „საჩხუბარი“ რომელიც აგრეთვე წარმოუდგენიათ, ამავე დროს დაუწერია კვალად ჩვენის ცხოვრებიდამ ორ მოქმედებიანი კომედია „ძვირი და უხვი“ რომელშიაც გამოხატულია ძუნწისა და უხვის საუბარი და მეტათ მშვენიერიც არის. შემდეგ უთარგმნია ორ მოქმედებიანი კომედია: „უბნობა მკვლართა“ ყველა ამ პიესებს „ძუნწი და უხვი“ გარდამეტებით სჯობია და საუკეთესოც არის. ამაში მდიდარსა და გლახას ასაუბრებს და უბატავს ხალხს—თუ როგორ იყო მაშინ ჩვენი ხალხი მძლავრთაგან დევნილნი და დატანჯულნი.

ამ წარმოდგენებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მაშინდელ ხალხზედ, ისე რომ დაუწყევიათ თხოვნა, რომ კიდევ „ასახის შეტყველებით“ შემდეგ ბევრჯერაც წარმოუდგენიათ. წარმოდგენებში მიუღლიათ მონაწილეობა შემდეგ პირთა: დავით ბატონიშვილს, ჩოლოყაშვილს, ავალიშვილს, თამაზ ანდრონიკაშვილს, გიორგი მეფის და ირაკლი ბატონიშვილის ქალებს და ავალოვისას. ეს გვარები მე ამოვიკითხე ერთ ზემოხსენებულ პიესის მომქმედთა პირთა სიაში.

გხლა ჩვენ რომ ვსწერთ: — „მომქმედთა პირველი“ მაშინ უწერიად „სახის მოქმედით“, — „ვახოქმედოთო“, — ვასახის

მეტყველოთო“ ამ წარმოდგენებზედ, თავადს ავალოვს დაუ-  
წერია ერთი ლექსი, რომელიც მას პირველს და შემდეგ  
წარმოდგენებზედაც სიმღერით წაუკითხავს. აი ეს ლექსი:

„მე სახედველნი იგ ჩემნი დავაშრე წიგნთა წერითა,  
ზოგი ჩემთ მოქმედულებზედ, ზოგი სხვით გადმოწერითა—,  
მსმენელთ ვევედრებ, ნუ მკიცხვენ, ამა ლექსისა მღერითა,  
არ დამიშლიან მაჩვენონ, იგ თუ ვიმსახურე მე რითა!  
თუ ხართ ვინმე მოსურნენი თეატრს სმენად, ანუ ცნობად,  
შეიმატებთ განდიდებას, ბრძენთა აგებთ თქვენად მკობად,  
ერიდებით უსამართლოდ, ჩემებრ მწერთა ცუდად გმობად,  
არ დაიშლით, ჰგავს არ რიდებთ თქვენგან გლახ გულთ  
ლახვრად სობად!

მერწმუნენით არ მას ვუბნობ, მქონდეს მეტი მისკენ ვრდობა,  
მაგრამ მწადის განრინება, კიცხვითა და ქვე-ქვე ძრომა,  
ნუ იკადრებთ, გაცხადებით იქონიედ ჩემზედ წყრომა,  
დაიშალედ, თუ რომ სჯობდეს მლიქვნელობა ქვე-ქვე ძრომა“.

1873 წ. კახეთში, თ. ქობულაშვილებში გავიგე შინა-  
არსი საქართველოში პირველად წარმოდგენილის კომედიის  
„მეფე თეიმურაზისა“ თეიმურაზი საფლავიდან წარმოდგება  
და კაცს დაიქერს და ეტყვის: კაცო, შენ ბრმა მირუაშვილი  
არა ხარ? ეს რაები ჩაგიცომსო? იქით კიდევ სხვა მოქალაქე  
პირებს ჩაავლემს ხელებს, რომელთაც ერთ დროს ევროპაში  
უმოგზაურნიათ და იმათებური ტანისამოსი ჩაუტვამთ. შემ-  
დეგ თეიმურაზი ამბობს: ჰაი გიდი საქართველოვ და საქართ-  
ველოვს გმირო ხალხოვ, მაგრამ ეჰ! შვილო, ირაკლი, შენი  
იმედი მაქვს რომ ჩვენს საყვარელ ხალხს სიმართლით უპა-  
ტრონებ და არ შეაქმევ მგლებს ბატკნებივითა“ და სხვ.

ამ წარმოდგენებში მიელო მონაწილეობა ერთ მღვდელ-  
საც, რომლისთვისაც სამღვდლოებს დევნა დაუწყვია. ამ  
მღვდლის იმ დროის ერთს ეპისკოპოსზედ ლექსიც გამოუთ-

ქვამს. ზოგნი ამბობდენ რომ ეს სიონის დეკანოზი თუ მღვდელი, კანდელაკი იყოვო, ზოგნი ამბობენ, რომ იოსებ ამერიძე იყოვო. აი ეს ლექსიც ქართლის მთავარ ეპისკოპოსზედ:

დოსითეოს არქიელი ბოლოსა, ვინ იქნება იმას დაემინდორს წავა დაჰკრეფავს ბევრს ღოღოსა, (ტოლოსა, თონეშია დააკრავს კარგ ღოღოსა, ჟამის წირვის გადაიხდის ქაბასა, წინ გაიმძღვნის დიაკვანსა საბასა, მე დამიშლის შესვლასა პათვით კი მუღმივ მოივლის ავლაბარსა“.

პალატას ეძახდენ თურმე მაშინ იმ სახლს, სადაც წარმოდგენები ჰქონიათ ხოლმე გამართული. წარმოდგენები გაგრძელებულა 1795 წლამდე, ვიდრე წყეული ალა-მამად-ხანი დაეცემოდა თფილისს და როდესაც ეს დაეცა თფილისს და ქალაქი ალაოხრა, წარმოდგენებიც მოიხპო. მოგეხსენებათ, რომ მის შემდეგ, მეფე ერეკლეც მალე დასწერლდა, სამეფო სახლში შური ატყდა, ერთობა დაერღვათ და საზოგადო საქმეების აღმასრულებელი კაცებიც სრულიად დაიხოცნენ და გაიქც-გამოიქცნენ.

ის კამედიები რა იქმნა, ეს არავენ იცის. 1830 წელს, რო სოლომონ დოდაევის რედაქტორობით, თფილისში სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა გამოცხადდა მაშინ წარმოუდგენია ძველი დრამები დიდ გიორგი ერისთავს და დიმიტრი ბაგრატიონს. ყველა ეს კომედიები იმ ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყვნენ, მაგრამ სხვა და სხვა შემთხვევის გამო 1832 წ. ჟურნალი დაიხურა და ვერც ის პიესები დაბეჭდილა; სულ ოთხი ნომერი გამოვიდა პირველ წელიწადს. თვითონ რედაქტორაც პოლიტიკურ საქმეების გამო რუსეთში გაგზავნეს დასასჯელად, რედაქციაც დახურეს და, არა თუ ის პიესები, არამედ სხვა მრავალი სტატიებიც და თბზულე-ბაებიც დაკარგულა. ამბობენ, ვითომც სხვათა შორის იმ რე-

დაქციის ზოგი ერთი სტატიები ერთ ვილაც თულაშვილს ჩავარდნია ხელში, მაგრამ ისიც მომკვდარა და ყველაფერი დაკარგულა.

1877 წ. „დროება“.

ზემოხსენებულ სათეატრო ცნობათა გარდა XVIII საუკუნის ბოლოს, ზემოხსენებულსავე დავით ჩოლოყაშვილს, თეატრის მკოდნეს რუსულის ენიდამ ქართულს ენაზედ პიესებიც უთარგმნია და უწერია. სხვათა შორის, 1795 წ. მარტის 3-მს, მას დაუწერია თუ უთარგმნია ქართულ ენაზედ ტრადედია, სახელდობრ, „ფეილენია“. ერთს მოქმედებად. ამ ტრადედიამ ჩვენს დრომდისაც მოაღწია, იგი დაბეჭდილიც არის. პიესას სათაურად ასე აქვს:— „ტრადედია ფეილენია“ ამის შემდეგ ეს ცნობა არის მოყვანილი:— „მათის შეფუბის, დიდებულის, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის შესაქცევად; ეპიხასა მეფობას მისისას ნბ წელსა შდ მანჯანისა ჩვენისა ჩდე-1795 თვესა მარტსა გ.3 თქმული მდივან ბეგის თაფლის დავით ჩოლოყაშვილისგან“. პიესა რუსულიდამ უნდა იყოს ნათარგმნი, ან თვით დავით ჩოლოყაშვილისაგან შედგენილი და დაწერილი. აღამენონი მეფეა ბერძენთა, უმთავრესი გმირი ეს პირია პიესისა და ამისი ასული. იგი შეეხება მეტად ძველ დროს. დამწერი სხვათა შორის ასწერს თვით თეატრს, სცენად თეატრს მოიხსენებს. ასევე სცენას. მოქმედება სწარმოებს მინდორზედ. ამ აღწერილობიდან სჩანს რომ დავით ჩოლოყაშვილი პიესების წერაში გართული პირი უნდა ყოფილიყო, იგი პიესას გარდა სხვებსაც დასწერდა, მართოდ ამითი არ დაამთავრებდა საქმეს. მეფე ერეკლეს თუ ეს ერთი პიესა მიუძღვნა საოხუნჯოდ და დროს გასატარებლად, ის სხვებსაც დასწერდა, უეჭველია მას მეფეც წახალისებდა და იმისაც ფიქრი არ უნდა, რომ ამ პიესასაც წარმოადგენდენ. ჩვენ თამბაღ ვიტყვით რომ XVIII საუკუნეში, ქართ-

ველებს თუშცა არა მდიდრად, მაგრამ ღარიბი რიცხვი მაინც გვექმნებოდა ქართულის პიესების, ლავითი ავალიშვილი, ჩოლოყაშვილი და მათთან სხვანიც ერთსა და ორს პიესას არ შექმნიდენ, ერთსა და ორს რამეს არ წარმოადგენდენ. სამწუხაროდ მხოლოდ მათმა ნაწერებმა ვერ მოაღწიეს ჩვენ დრომდე.

ამბად ვიცი თ ისიც, რომ პიესებისთვის. სათამაშოდ თფილისში სახლიც ჰქონიათ გაკეთებული. სადაც ხშირად იცოდნენ თამაში, პიესების გარდა იქვე თამაშობდენ ხოლმე ჯამბაზები, ნამეტურ ზამთარში. ასევე სხვა და სხვა მოთამაშენიც თამაშობდენ აქ და ნამეტურ მოქიდავენიც როცა უცხო ქვეყნებიდამაც შემოდოდნენ. თვალთ მაქცეების რიცხვიც ხშირად სჩნდებოდენ თფილისში ინდოეთიდან, სპარსეთი და ოსმალეთიდანაც. იტალიელებიც ხომ ხშირად მოდიოდნენ და ასე გაჩინჯეთ რომ თვით მესაათეებიც და ზოგი რამ ევროპის ხელოსნებიც სცხოვრობდენ თფილისში. სამწუხაროდ ყველა ამის ცნობები ჩვენ არ გვაქვს, თვით სათამაშო თიატრის შენობაც 1795 წ. უნდა იყოს დაქცეული, რადგან თფილისში მტერს. დაუწვავ-დაუნგრევია აღარა ვადარჩა რა. ყოველივე დაამხო. ამიტომ მოისპო ყოველივე ჩვენში და მალე ვეღარა გაკეთდა რა, სულ მცირე ხნის განმავლობაში საქართველოც რუსეთს ჩაბარდა და მის შემდეგ ხომ მოიშალა ყოველივე ჩვენის ძველის სხეულის აგებულების და მის ძალის, ამიტომ აღარც ძველი თიატრის შენობა განგვიახლდა და აღარცა რა სხვა ბევრი რამ.

დავით ჩოლოყაშვილს და დავით ავალოვს გარდა ჩვენ ვიცი თ კიდევ ერთი თიატრალური იმბავი, რომელიც შეეხება გაბრიელ მაიორის საქმეს, გაბრიელ მაიორი რუსეთში სცხოვრებდა თურმე, იქ დაუმსახურებია ღირსება და შემდეგ დამსახურების საქართველოში დაბრუნებულა, ეს თელავიდან უნდა იყოს და ან თფილისიდან, რადგანაც იგი ერთობ ხშირად თელავშიც სცხოვრებდა. ქართველი იყო თუ ხოცები,

ან კათოლიკე ამის არაფერი ვიცით, იგი თავის დროის კვა-  
ლად მახვილ გონიერი კაცი ყოფილა. მომზადებული ყველა  
საქმეებში და ქებულიც მეფის წინაშე. ყველგან მას გაბ-  
რიელ მაიორს უწოდებდნენ. იყო თურმე ხალხის დიდი დაწ-  
რიგებელი და სადავო საქმეთა მომრიგებელიც. გაბრიელ მაი-  
ორი ისე სადმე რამე საქმეში არ ჩაერყვოდა, რომ იქ ლაზათი  
და მშვიდობა არ დატიალებულიყოს. როგორც დროის კაცი  
საომარ საქმეებშიაც ქებული ყოფილა. იგი მხურვალე მო-  
ნაწილეობას იღებდა 1795 წ. ომში. გაცხარებულ ომის  
დროს, იგი ხალხს ამხნევებდა და ამაგრებდა, პირის პირ იქ-  
მნა მტერთაგან მოკლული და მერე ნაქერ-ნაქერ დაკუწული.  
ამ პირის გმირულს ომს და სიკვდილს ქებით ანუსხავს ომან  
მდვიან ბეგი მეფე ერეკლეს ისტორიაში.

სხვათა მრავალთა საქმეთა გარდა, გაბრიელ მაიორი კო-  
მიკიც ყოფილა და მას ხშირად წარმოუდგენია ხოლმე  
სხვა და სხვა წარმოდგენები თფილისსა და თელავში. მის წარ-  
მოდგენებს თურმე თვით სამეფო პირნიც ესწრებოდნენ.  
თეატრში ძვირი ფასის ადგილებიც ყოფილა და იათ ფასი-  
საც. რასა თამაშობდა და რას ადგენდა ამისი ჩვენ კარგად  
არა ვიცით რა. ჩვენამდე კარგად მოაღწია გაბრიელ მაიორის  
წარმოდგენების თვით ერთმა ბილეთმაც: ბილეთი დაბეჭდილია  
ფორჯს ქალაქდზე, პატარა ზომის და როგორც ეტყობა იგი  
მცირე ფასიან ადგილს უნდა შეეხებოდეს რადგანაც ზედ ფასი  
ორ შაურად არის აღნიშნული, ლექსად არის ასე მიწერილი:  
— „შაურა ორი გაბრიელ-მაიორი“. სხვა მეტი არაფერი აზის  
ბილეთს ამის მეტი. ესე იგი ბილეთი ანუ წარმოდგენის ნახვა  
ორი შაურიო. ეს ბილეთი 1860 წლებში აქვდა თ. ალ. ორ-  
ბელიანს. ესევე ბილეთი და XVIII საუკუნის ქარველთ სა-  
თეატრო საქმენი და წარმოდგენები შემოკლებით აღწერა და  
დაბეჭდა ნ. ბერძენოვი ადრინდელ გაზეთ „კავკასის“ ნომ-  
რებში სადაც ნ. ბერძენოვი დიდათაც თანამშრომლობდა და  
საქართველოს ისტორიულს წერილებს რუსულ ენაზედ მრავ-

ლად სწერდა. ხსენებული ძველი ბილეთი აღ. ორბელიანს აქვნიდა სახლში დაცულია. თვით აღ. ორბელიანი, ამ გაბრიელ მაიორის და მის წარმოდგენების შესახებ ამ პატარა ცნობას სწერავს თავის წიგნში, (მისი ნაწერების 126 გვერდი) და ამბობს შემდეგს:— „თელავში და თფილისში ქართულ კომპოდიებისად თამაშობდნენ შეფე კრეკლეს დრამა. დრამის:ცაა გამართული იყო გაბრიელ მაიორი“ და სხვანი.

II

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს და დროთა ცვლილებამ ქართველი კაციც შესცვალა საკმარისად. მისი ცვლილებით მოხდა ბევრი რამის დაკარგვა და დაეწყო და მის მაგიერ არც ახლის შექმნა. ქართველმა ერმა დახუჭა თვალები და მიეცა ძილს, შესმენილი ძალა ქეიფებს და საქეიფო ფულისათვის საწყალი ხალხის ფცქენას. ნახევარა საუკუნე იხევათარეს ქართველებმა, რომ შათთვის აღარც თეატრი იყო საჭირო, არც წიგნი, არც გაზეთი. ყოველივე ჰუმეს, დაიწყო და ამ დედა მიწის პირიდან ალაგებას, ანუ ალგვას მიეცნენ, მაგრამ არა, საქმე ასე არ გათავდა. ბევრის თათბირის და ცდის შემდეგ, რუსების და სომხების მიზაძვით ქართველებმაც გაახილეს თვალები და 1851 წ. ქ. თფილისში დაარსდა ქართული თეატრი, ქართული წარმოდგენები გაიმართა, ამისთვის მოთამაშენიც გაჩნდნენ. ამ საქმის მეთაურად გაჩნდნენ გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტონოვი. ამათხედ იმდენი წერილები დაწერილა ჩვენს მწერლობაში, რომ მე აღაარას დაეწერ, ვიტყვი მხოლოდ მას რომ ამ ორ პირს თავის დროის კვალად მიუძღვით დაუფასებელი სამსახური ქართველი საზოგადოების წინაშე. ესენი იყვნენ მეთაურნი საქმის, ესენივე სწერდნენ სხვა და სხვა პიესებს, ესენივე ამზადებდნენ და სწავრთავდნენ მოთამაშეებს, ქალებს ამხნევებდნენ სტენაზედ გამოსასვლელად და მრავალიც სხვანი. ამათ შრომას იმ



დროის მთავარ მართებელმა დიდის პატივით შეხედა ღ წლიურად დახმარებაც დაუნიშნა. ამათი შრომა და წარმოდგენებმა მხოლოდ 1854 წლამდე გასტანა. მერეკი დაიშალა, რადგანაც მთავარ მართებელი სხვაგან გადიცვანეს და მის მოადგილემ მოთამაშეებს დახმარება აღარ მისცა. ოთხი წლის განმავლობაში გ. ერისთავმა და ზურაბ ანტონოვმა დიდი შრომა დასდეს, თითქმის ამით შექმნეს ქართული ახალი სათეატრო მწერლობა. ესენი ითვლებიან ახალს დროში ამას მამად. წარმოდგენებს მართავდენ იმ დროის სახემწიფო თეატრში, რომელიც აშენებულ იყო თამაშმოვის ქარვასლის შუაში. გარშემო აწინდელი მალაზიები აქვნდა და შუაში თეატრი იყო, გაკეთებული. ეს თეატრი შესანიშნავი იყო თავის დროის კვალად.

გ. ერისთავის და ზურაბ ანტონოვის შემდეგ, ქართულ წარმოდგენებს მართავდა ივანე კერესელიძე ადრინდელ ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორთაგანი. წარმოდგენებს ახერხებდენ თფილისის ქალაქის ძველს ნაწილში, შუა ბაზრის ზემოთ, ვილაცა შერმაზანოვის სახლში, მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი და ამ საქმეს ივ. კერესელიძემაც დაანება თავი. 1857 წ. „ცისკრის“ გამოცემა დაიწყო და ამიტომ მას ამის დრო აღარ აქვნდა. მ.ს შემდეგ, ქართული წარმოდგენები იმართებოდა ხუთ წელიწადში ერთხელ, ისიც დიდის ჭაპან-წყვეტით. თამაშობდენ ხოლმე ისევ და ისევ გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის პიესებს. გ. ერისთავი გარდაიცვალა 1859 წ. და ზ. ანტონოვი 1859 წ. ცოფით, ამას მოწმობს თვით ივ. კერესელიძის წერილი. წარმოდგენები თუ ხერხდებოდა იგიც სცენის მოყვარეთაგან იყო ხოლმე. 1869 წ. შემდეგ, ქართულ წარმოდგენებს თამაშობდენ იარმუკაზე, ნემეცების კლუბში სადაც, დარბაზი ღ სცენა იყო. ეხლა რომ სტალრები არიან იმის თავზედ. 200 კაცი ძლივს დაეტევოდა. სომხური წარმოდგენებიც აქ იმართებოდა. სხვა თეატრი არ იყო. 1875—76 წ. რამოდენიმე წარმოდგენა მოახერხეს თფილისის

ქალაქის დიდს თიატრში. მონაწილეობას იღებდნენ ელენე ყიფიანისა, ელენე ბროძელისა, ალ. ყაზიბეგვი, ელიოზოვი, ავალიშვილისა და რამდენიმეც სხვა პირნი, ხალხში თიატრის მნიშვნელობა ფეხს იდგამდა, ნელ-ნელა სათეატრო მწერლობის ასპარეზაც მდიდრდებოდა, ზოგი ერთნი მცოდნენი სწერდნენ და სთარგმნიდნენ სხვა და სხვა პიესებს. ამ პიესების რამდენიმე დაბეჭდილები არიან ეურ. „ცისკარში“ „მნათობში“, „კრებულში“ და გაზეთ „დროებაშიაც“ კი. პიესების საკმე ისე მოეწყო, რომ 1873 წ. ქართულს ენაზედ ითარგმნა „მეფე ლირი“ შექსპირისა, დაიბეჭდა მხოლოდ დასაწყისი „კრებულში“.

ბევრის წოწიალის და ღოღიალის შემდეგ, ქუთაისშიაც დაიწყეს წარმოდგენები, მალე თფილისში გაჩნდა ვ. აბაშიძე და რამდენიმეც სხვა პირნი. 1877 წ. უკვე თფილისში დაიწყეს წარმოდგენების გამართვა. წარმოდგენები იმართებოდა ხან იარმუკაზედ, ვანქის სახლებში, რომელიც ეხლა დაიწო და ხან ბულვარზედ ჩითახოვის სახლებში, ხან სხვაგანაც დიდრონ დარბაზებში. ქართული ტრუპის დაარსების პირველი წარმოდგენა ბულვარზე მოხერხდა, სადაც შემთხვევით ბათუმიდამ მოსულ რამოდენიმე ქართველ მაჰმადიანებიც დაესწრნენ. პირველად წარმოადგინეს ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდათ ეს არის“ და ერთიც ანტონოვის პიესა. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. ხალხი აღტაცებული დაშთა, მას შემდეგ სახხალხო ტრუპა მალე დაარსდა. წარმოდგენების სათათბიროდ ხან როინოვის სახლში იკრიბებოდნენ და ხან სხვაგან. მალე ამ საკმეში ქართული საზოგადოების კარგი ნაწილიც ჩაერთა. სცენაზედ გაჩნდნენ ვ. აბაშიძე, მ. საფაროვისა, ავ. ცაგარელი, ნ. გაბუნიახი, კოს. ყიფიანი, კოს. მესხი და რამდენიმეც სხვანი. უწარჩინებულესნი პირნი და ღიდათ დამსახურებულნი ქართველის საზოგადოების წინაშე თავიანთ საკმის სინდისიერად შესრულების და სამსახურით, ამათ შემდეგ დროს მისდევს მრავალ ნიქთა გამოჩენა და მათ შორის

ვ. მესხიშვილის და ვალ. გუნიასი. უნდა მოგახსენოთ, რომ თვითეული ამათგანი შემკულია მრავალ ნაირის ცოდნით და მის ღირსებით. ამათ დაამშვენეს ქართული სცენა, თითქმის ამათ ჩადგეს პირველად სული და ამიტომ მე მათ ვუწოდებ ქართული თიატრის მამათ მთავრებად. ამათი ამავის დაკარგვა და დავიწყება ქართველთაგან იქმნება უკანონობა და გულგრილობა.

ღიახ, ვასილი აბაშიძე, კოს. მესხი, ავ. ცაგარელი, მ. საფაროვისა, ნ. გაბუნიასი, კოტ. ყიფიანი. შემდეგ ვალ. გუნია და ვ. მესხიშვილი და რამდენიმეც სხვანი არიან სულის ჩამდგმელნი ქართულის თიატრის და დამფუძნებელი მისი. ამავე პირების შრომის ნაყოფია ქუთაისის სცენა და წარმოდგენების მართვა, ბათუმისა და ყვირილაში ხომ კარგი თიატრი გაკეთდა მიხ. ვაჩეჩილაძის, ვანო არდიშვილის, ილია მალაკელიძის და სხვათა დახმარებით და ცდით. ამ დაუცხრომელ მოღვაწეებმა ყვირილაში კარგი, დაუვიწყარი საქმე შექმნეს ამითი. მათი შრომა მაღალის მამულისშვილობით არის სავსე. მოკლედ უნდა ითქვას, რომ ამ პირებთა ღვაწლით და ამაგით დაარსდა ქართული სცენა—თიატრი, ესენი არიან მისი მუშაკნი, დამწერნიც და დამფუძნებელნიც, ყოველ მათგან აქვს მაღალი რწმენა ჩვენს სამშობლო ქვეყნის და ერის სიყვარულზედ, მათი რწმენა არის სპეტაკი და დაუზარებელ-მოურიდელი. მათ შექმნეს თვით სათიატრო მწერლობაც. ყოველ მათგანს აქვს სხვა და სხვა ნაწერები და ბევრი მათში პირველ ხარისხოვანი ნაწერიც არის. აქ მოგახსენებთ და განსაკუთრებით მნიშვნელობას მივსცემთ გაბრიელ სუნდუკიანცის სომხურ პიესებს რომელნიც ქართულად დრევე ითარგმნენ და რამდენიმე ხნის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ თამაშობდნენ. ასევე აღსანიშნავია პეტრე უმიკაშვილის შრომა ჩვენის სცენის ასპარესზედ და ბოლოს დროს ხომ სუმბათაშვილიმაც მოგვცა საიმედო მაგალითი სამშობლო სცენის და ერის სამსახურისა. ასეთ პირთა მახლობლიდ სდგას

ივანე მაჩაბელი თავისი შექსპირის თარგმნებით. ნ. ავალი-  
შვილი და ანტონ ფურცელაძე „ავაზაკების“ დაწერით. „ავა-  
ზაკებს“ ხელოვნები და მუშები ზეპირად სწავლობენ.

ბოდიშს ვიხდი, რომ მე აქ დაწვრილებით არ ავწერ  
ქართული თეატრის მოღვაწეთა ცნობებს. ამის აღწერაც ასე  
იყო რიგი, მაგრამ რადგანაც ჩვენ მარტოდ უმთავრეს მიზეზთ  
შედეგით, ამიტომ ასევე მოვახერხეთ და აენუსხეთ მხოლოდ  
უმთავრეს საქმენი და პირები. პატივისცემით მოსახსენებელი  
აგრეთვე გიორგი თუმანიშვილის შრომაც ქართული თეატ-  
რის ასპარეზედ. ამათ სახლში იკრიბებოდნენ მოთამაშენი და  
სათამაშოდ ემზადებოდნენ. თვით გიორგი თუმანიშვილიც  
მეთაურობდა თეატრის საქმეებს და ამას გარდა სწერდა და  
სთარგმნიდი მრავლად სხვა და სხვა პიესებს. ვიტყვით თამა-  
მად რომ ამ პირის შრომაც მეტად საპატიო არის და ამაგ-  
დარი თეატრის შესახებ რაოდენიმე წერილიც დაბეჭდა.  
სხვათა შორის „ქართული თეატრის ისტორიაც“ დაბეჭდა ვ.  
გუნიამ ზე რამდენიმე წიგნი წინადავე დასტამბა გ. თუმანიშვილმა.  
ქართულ გაზეთებშიაც უნდა ითქვას, რომ დიდი ადგილი  
აქვს დათმობილი ქართულ თეატრის საქმეს, პიესების გან-  
ხილვას, წარმოდგენების რეცენზიებს და მოთამაშეთა აღწერას.  
ქართული ჟურნალ გაზეთები სავსეა ასეთის ნაწერებით.  
მსწავლულთა სიტყვით, „თეატრი სკოლა არის, ანუ ტაძარი  
გონებისა და ცოდნისა“, ამიტომაც ქართული მწერლობაც ამ  
გონების ტაძარს ყოველთვის ფაქიზათ ექცევა და სჯის  
მასზედ პატივისცემით და თავაზით.

რამდენადაც დრო მიდიოდა, იმდენადვე სათეატრო სა-  
ქმეთა მიმდევართა რიცხვიც საქართველოში ფეხს იდგავდა.  
სტენაზედ გამოხვდა და პიესების წერა ისწავლეს თვით ისეთ  
ხელოსან პირებმაც რომელთაც განათლება სულ არ მიუღიათ  
და თუ უსწავლიათ რამე და წიგნები უკითხავთ, ეს ყოფილა  
თფილისის სახელოსნო სკოლა და მისთანები. ასეთ პირთა  
სწავლებლით და შრომით მდამბოთა შორის დიდის მხლრვა-

ლებით გაჩაღდა წარმოდგენების სიყვარული და მრავალ ალ-  
გას ხელოსნებმა იწყეს წარმოდგენების მართვა და ისიც  
ერთობ იაფად, ხელოსანთა და მუშათა ხელმისაწდომ ფასად  
თამაშობენ რკინის გზის თიატრებში თფილისს, ქუთაისს, სამ-  
ტრედიას, ხაშურს, ბათუმს, ფოთს და სხვაგანაც. თფილისში  
ვერაზედ, დიდუბეში და სხვა და სხვა ბალებში ავლაბარში,  
სადაც ორი სახალხო თიატრიც გაკეთდა. ასევე ავჭალის ქუ-  
ჩაზედ ღ ზოგიც სხვაგან. სახალხო თიატრზედ კარგი სამსახური  
მიუძღვის იოსებ იმედაშვილს. ბეჭდავს პიესების კრებულს:—  
„ცხოვრების სარკე“ სამაგალითო წიგნებია, ეს გამოცე-  
მანი ჩვენი სცენისთვის დიდი განძია და საკითხავადაც  
კარგია. ქართულ მწერლობაში ასეთი წიგნები პიესე-  
ბის მხრივ ერთობ იშვიათია. დღეს ქართული თიატრული  
მწერლობა მდიდარია, მასზედ მოიპოვება მრავლად მეტად  
შესანიშნავი პიესებიც. ვიტყვით იმასაც, რომ დღეს ქართველი  
მოთამაშენი ისეთის ცოდნის და ღირსებისანი არიან, რომე-  
ლთაც თვით განათლებულ ერთა კარგი მოთამაშენიც ხშირზედ  
ვერ შეედრებიან. ყოველი მათგანი თავის საგანში ნამდვილი  
ხელოვანი ოსტატია. ასეთ ოსტატების რიცხვი დღეს ერთობ  
ღიდა, ამას აქ ვერ მოვსთლით, როგორებიც ამ საქის დამ-  
წყებ მამა მთავრები არიან, ისეთივე მათი მიმდევრები გამო-  
ვიდნენ და დღეს თუ ახალგაზრდებთ შორის არიან მრავალნი  
გამოჩენილნი მსახიობნი, ეს გახლავსთ შრომა ვ. აბაშიძისა,  
კ. ყიფიანისა, კ. მესხის, ვ. გუნიასი., ავ. ცაგარლისა, ვ.  
მესხიშვილისა და რამდენიმეც სხვათა. უნდა ითქვას რომ ქუ-  
თაისის სცენის მოთამაშეთაგანაც მრავლად ამშვენებენ ქუთაი-  
სის სცენას.

აი ასეთი გახლავსთ აწინდელი ქართული თიატრის ღირ-  
სება და მნიშვნელობა და ასეთი დასაწყისი აქვს მას, ასეთივე  
საბატიო მეთაურნი ჰყავდნენ და ჰყავნან კიდევაც დღეს. ამ  
მეთაურთ შეუძლიან სთქვან თამამად:— „მოვიტყუებ სხვათა  
ყოველთა კეთილთაგან და ვერა მოვიტყუებ სსქართველთა ერის

და თიატრის მსახურებისაგან.“ კარგად სჩანს, რომ ადრე თუ ქათული სცენა სამასხარო და ხალხის მისაზიდის პიესებით სკოცხლებდა, ადრე თუ ერთ თავად ე. ერისთავის დ. ზ. ანტონოვის პიესებს თამაშობდნენ, დღეს ეს ასე აღარ არის. დრო შეიცვალა, დღეს ჩვენი თიატრიც თანამდევარია ხალხის ცხოვრების და მის მოძრაობის და ამიტომ იგიც ფეხ და ფეხ მისდევს მას. დღეინდელი ქართული თიატრი არის იდეური და მასთან მამულის-შვილურიც.

ვიტყვი იმასაც რომ რამდენათაც ქართველობაში თიატრალური საქმეების წარმატება და აღორძინება მიდიოდა წინ, იმდენათვე საჭირო ხდებოდა თიატრის შენობაც. მაგრამ ეს კი არსად იყო. ერთობ ძვირი და იშვიათი. სოლოლაკზე გაკეთდა ფითუაშვილის თიატრი, დიდუბეში საზაფხლო, კუკიის ხიდან ზამთრის თიატრი, სადაც ქართული წარმოდგენები იმართებოდა 1878 წლიდან და სადაც თითო წარმოდგენის ქირად 300 მ. აძლევდნენ, გაკეთდა თფილისის სახაზინო დიდი თიატრიც, მასთან მოჰყვა არტისტიული თიატრიც და მრავალიც სხვანი, მაგრამ ქართულ წარმოდგენებს ისევ თუ თამაშობდნენ ქართველთ თავად-აზნაურთა ბანკის თიატრში, ისევ აქ იყო ბინა მათი. უთიატრობის გამო ქართულს გაზეთებში მრავლად წერებულა, ხალხსა და საზოგადოებას ვაბეზრებდით თითქმის რომ ქართული სცენისათვის თიატრი არა გვაქვსო.

ასეთ ნაკლს დიდი ყურადღება მიაქციეს ჩვენში კარგად ცნობილ ძმათა ზუბალაშვილებმა სტეფანემ, ლევან, პეტრე და კონსტანტინეს ძეთა და 1901 წ. თავიანთ მამის, აწ გარდაცვალებულის კონსტანტინე იაკობის ძის სამახსოვროდ, თფილისის ხალხისათვის თიატრის აშენებაც გამოაცხადეს თავიანთის ხარჯით. დაპირება მათ უკვე შეასრულეს და დღეს თიატრი უკვე მზად არის, რაზედაც ფულად დახარჯეს 300 ათას მანეთამოე, თიატრი იქნება რუსთა, სომეხთა, თათართა და ქართველთა წინაშე საძმოთ. რადგანაც თფილისში ქართული

ენი, მეფობის, ამიტომ რაღა ფიქრი უნდა, აქ ქართულ წარმოდგენებს უფრო დიდი ადგილი და დრო დაეთმობათ. ეს საქმე თფილისში ვინმე ქველმომქმედთაგან პირველია და სამაგალითო. ვიტყვიტ აქ იმასაც რომ ზუბალაშვილებმა ამ საქმიო მუშა ხალხის გულში დიდი პატივისცემის სამთელი აღანთეს. ეს თიატრი ხელოსანთა და მუშათა ოჯახთათვის სწორედ სამაგალითო სარკედ დაშთება. ჩვენ ამ საქეს დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ, ასევე დიდს მნიშვნელობას ანიკებდა მას ჩვენი დაუვიწყარი სტეფანე კონსტანტინესძე ზუბალაშვილი და ყოველივე ამ საქმის მეთაურობა თითქმის მასვე ეკუთვნის. მას თიატრზედ დიდებული შეხედულება აქვენდა. თიატრსაც ისე უცქერდა როგორც დიდების ტაძარს, როგორც სკოლას და მიტომაც აღაშენეს თფილისის შეუძლო ხალხთათვის ასეთი კარგი შენობა. ამიტომ ჩვენც მათის უმაღლესის პატივის საცემლად მოვთავსედ სურათი კონსტანტინე იაკობისძის ზუბალაშვილისა, ვისის სახელის მაგალითითაც მისმა შეილებმა გადასწყვიტეს აშენება თავიანთის ფულით ამ შენობისა.

აქ ამაზედ მეტის თქმა არ არის საქირო. ხოლო ქვემოთ კი ავნიშნავთ ამ დაუვიწყარ საქმეს და მოვიგონებთ სამაგალითოდ როგორც საქართველოს გულ შემატკივარ ქართველ მამულიშვილებთაგან ვაკეთებულ სამახსოვრო საქმეს—სახალხო თიატრს. ჩვენს დროში და ისიც ასეთ გათახსირების ყამს მეტად იშვიათია ქართველის კაცისაგან რომ ასეთი სახალხო რამე საქმე ვაკეთებუიყოს.

ამ ბოლოს დროს, ქართველ ერს, ოპერის დაარსებაც ეღიოსად. ოპერის ასპარეზედ შრომით ბრწყინავენ: ნ. ქართველიშვილი, ნახუკრიშვილი, ბალანჩივაძე, კარგარეთელი და სხვანი.



94/99  
6 256

